

ფიქრები „რუსთავი 2“-ის ირგვლივ შექმნილი „სამართალმა პური ჭამა“-ს შესახებ

ანუ რის საშუალებას გვაძლევს ჩვენი სამოქალაქო სამართალი და რის - არა

როგორ განვითარდებოდა სამართლებრივ სახელმწიფოში „რუსთავის 2“-ის ირგვლივ დავა, ეს რომ მართლაც კერძო დავა ყოფილიყო? აქვთ თუ არა „ოცნების“ იურისტებს საკმარისი იურიდიული ცოდნა (ნება რომ არ აქვთ, ეს გასაგებია), რომ სამართლებრივად შეაფასონ ეს საქმე? რამდენად აქვს საზოგადოებას (ამ შემთხვევაში არამხოლოდ იურისტებს) გააზრებული, რომ „რუსთავი 2“ ის პრობლემა – ეს არ არის მხოლოდ სიტყვის გამოხატვის თავისუფლების პრობლემა და აქ საქმე გვაქვს მოქმედი სამოქალაქო სამართლის არსის და მიზნების სერიოზულ დამახინჯებასთან? ხვდება თუ არა ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი და სასამართლო, რომ ეს დავა უაღრესად კომპლექსურია, იმიტომ, რომ „რუსთავი 2“-ის ფასეულობაზე ძალიან ბევრი სუბიექტის, ჟურნალისტის და ხელოვანის, ინტელექტუალური საკუთრება და მათი კონსტიტუციური უფლებები - მათ შორის პროფესიული თავისუფლება - არის მიბმული? ეს კითხვები ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის და იურისტისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია და ამ წერილში სწორედ ეს საკითხებია განხილული. აქვე დავძენ, რომ საქართველოში არყოფნის გამო არ მომეცა საშუალება, კვირას „რუსთავი 2“-ის გვერდით ვმდგარიყავი, ამ წერილით ვუცხადებ სოლიდარობას „რუსთავი 2“-ს, საქართველოს სამოქალაქო სამართალს და დამოუკიდებელ სასამართლოს.

„რუსთავი 2“-ის საქმე ყველა ნორმალურ, თანამედროვედ მოაზროვნე იურისტს გულს და სულს აუმღვრევს... კვირას, რუსთავი2-ის პროტესტის დღეს, ვზივარ და ვფიქრობ, რატომ არ ემღვრევათ „ოცნების“ იურისტებს გული და სული... აი, მაგალითად, ირაკლი კობახიძეს ან თეა წულუკიანს...

საფუძვლიანი ეჭვი მიჩნდება, რომ ამ ადამიანებს საერთოდ შესწავლილი, ან შესწავლილი თუ არა, შემდგომ გააზრებული მაინც თუ აქვთ თანამედროვე სამოქალაქო სამართალი და, აქედან გამომდინარე, თუ შესწევთ უნარი, როგორც იურისტებმა, შეაფასონ „რუსთავი 2“-ის საქმე.

ირაკლი კობახიძის და თეა წულუკიანის სავიზიტო ბარათებია საზღვარგარეთ მიღებული ექსკლუზიური განათლება და სამუშაო გამოცდილება, ანუ ის, რაც საზოგადოებაში მაღალი ნდობით სარგებლობს.

მე კი მეზადება კითხვა:

შეუძლია თუ არა ირაკლი კობახიძეს ან თეა წულუკიანს, იურიდიულად შეაფასონ (ისე, თავისთვის) და მოსალოდნელია თუ არა, რომ მათ გული აერიოთ ამ სამართლებრივ „მარაზმზე“, რასაც „რუსთავი 2“-ის საქმე წარმოადგენს?

სანამ პასუხებზე გადავიდოდე, მინდა, ჩემი საზომი გაგაცნოთ:

აქ ბერთოლ ბრესტს დავესესხები, რომელიც ამბობს, რომ ვინც სიმართლე არ იცის, ის, უბრალოდ, უჭკუოა, მაგრამ ვინც სიმართლე იცის და მას ტყუილს უწოდებს, ის - დამნაშავე.

მე ამას ჩემებურად განვაგრძობდი და ვიტყოდი, რომ ბოროტმოქმედების რამოდენიმე საფეხური არსებობს: პირველ საფეხურზე არის ყველა ის, ვისაც ძალაუფლება აქვს და ჭკუა - არა, მეორეზე - ვინც ძალაუფლებას შეგნებულად, ანუ ჭკუით, ბოროტად იყენებს, მესამეზე კი ისინი, ვინც ამ ყველაფერს აკეთებს და თან თავი სულელად მოაქვს, რომ იქით შეგეცოდოს.

ახლა კი დაეუბრუნდები ზემოთ დასმულ კითხვას და შევეცდები, ამ კითხვაზე პასუხები ბიოგრაფიებში ვიპოვო. დავიწყებ ირაკლი კობახიძით:

იურისტი ირაკლი კობახიძე

ვეძებ მის ბიოგრაფიას. საქართველოს პარლამენტის გვერდი მწირ ინფორმაციას მაწვდის, ვიკიპედია ცოტათი მეტ ინფორმაციას ფლობს და მეუბნება რომ კობახიძეს 1995-2000 წლებში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე უსწავლია, შემდეგ გაუკეთებია მაგისტრატურა დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინე უნივერსიტეტში და იქვე დაუცავს დოქტორის ხარისხი.

ჩემს დასმულ კითხვაზე ეს ინფორმაცია შემდეგ პასუხს მაძლევს:

საქართველოში 1997 წლის 25 ნოემბრიდან იწყებს ამოქმედებას ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომლის დიდი ნაწილიც გერმანული

სამოქალაქო სამართლიდან ითარგმნა. ამ ახალი სამართლის კონსტრუქციას კეთილსინდისიერი მყიდველიც და ამორალური გარიგებაც (ეს უკანასკნელი, ჩემი აზრით, არასწორი და ძალიან მოუხერხებელი თარგმანია, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს) – ანუ ყველაფერი ის, რაც „რუსთავი 2“-ის საქმეში როლს ასრულებს. ირაკლი კობახიძე 1997 წლის ნოემბერში იყო მე-3 კურსზე. ანუ მან საბჭოური სამართლით დაიწყო და სადღაც დასასრულისკენ თანამედროვე სამოქალაქო სამართლის შესწავლაზე გადაინაცვლა. რაც შეეხება გერმანიაში მის შემდგომ განათლებას, ეს მის სამოქალაქო სამართლის და, საერთოდ, სამართლის საფუძვლების ცოდნას არანაირად არ ეხება.

მაგისტრის (LL.M.) კურსები გერმანიაში ძირითადად მათთვისაა, ვისაც არაგერმანული იურიდიული განათლება აქვს და მისი განვრცობა ვიწრო მიმართულებით სურს. ეს არის ძირითად შემთხვევებში შედარებითი ანალიზი ან მიმართულებები საერთაშორისო, ევროპის ან სახალხო სამართლიდან.

დიუსელდორფის უნივერსიტეტი, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ინსტიტუტი - გერმანიის და სხვა ქვეყნების პარტიათა სამართლის და პარტიათა კვლევის ინსტიტუტი - გვაწვდის ინფორმაციას, რომ კობახიძეს მაგისტრატურა ამ ინსტიტუტში და ამ სპეციალური მიმართულებით გაუვლია და სადოქტოროც ამ მიმართულებით დაუცავს.

ჰოპლა! აქ უკვე ერთ ძალიან საინტერესო ინფორმაციას ვაწვდები, რომელიც ბევრმა შეიძლება არ იცის. კობახიძის სადოქტორო ნაშრომს ჰქვია „პარტიების ქმედითუნარიანობა და მათი თავისუფლება - გერმანული და ქართული პარტიების შედარებითი მეცნიერული მოკვლევა.“

საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მისტერ გუგლი კობახიძეზე ერთ ღიმილისმომგვრელ, კომუნისტური ტონალობის სტატიასაც მთავაზობს („კვიცი გვარზე ხტის..“, პოვნადია GNN.Ge-se), რომელიც მეუბნება, რომ გერმანულ ენაზე შესრულებულ მონოგრაფიას(?) ეწოდება „პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი“.

მოკლედ, ერთ კვირაში კობახიძის სადოქტორო – გერმანული და ქართული პარტიების შედარება - ჩემს მაგიდაზე იდება, ასე, რომ თქვენც მალე გეცოდინებათ, თუ რას ფიქრობდა 2006 წელს

ირაკლი კობახიძე ქართულ პარტიებზე და როგორ შედარებებს აკეთებდა გერმანულ პარტიებთან. მაინტერესებს ასევე, რამდენჯერ მოვა ახლანდელი კობახიძე იმუამინდელ კობახიძესთან წინააღმდეგობაში.

დიუსელდორფის აღნიშნული ინსტიტუტის გვერდი ერთ საინტერესო ინფორმაციასაც მატყობინებს. ინსტიტუტი, რა თქმა უნდა, მოხარულია ყოფილი სტუდენტის წარმატებით და ამბობს, რომ საქართველოში დაგეგმილი პარტიების და საპარლამენტო სამართლის რეფორმების ირგვლივ მომავალშიც სამეცნიერო გაცვლას ექნება ადგილი.

მე პირადად სიამოვნებით შევატყობინებ პროფესორ დოქტორ მარტინ მორლოკს (რომელიც, როგორც ჩანს, დაინტერესებულია საქართველოს დემოკრატიული განვითარებითაც), რომ მათმა ყოფილმა სტუდენტმა და მისმა პარტიამ „ამინ“- ის ძახილით გაამწესა დემოკრატიული აზროვნების ანაღფაბეტი მანანა კობახიძე საკონსტიტუციო სასამართლოში და რომ მათი ყოფილი სტუდენტის, ამუამინდელი პარლამენტის თავმჯდომარის და იურისტის თვალწინ მიმდინარეობს ისეთი სამართლებრივი მარაზმი, როგორიცაა „რუსთავი 2“-ის საქმე და რომ ეს საქმე ნებისმიერ კეთილსინდისიერ იურისტს აღაშფოთებს - ქართველს თუ გერმანელს. ირაკლი კობახიძემ შმუშვნის და აღელვების ფონზე თავი შეიკავა იურიდიული შეფასებისაგან. მიუხედავად ამისა, მაინც მკაფიო statement-ი გააკეთა რუსთავი 2-ის ეთერში, გადაცემა არჩევანში, 29 ნოემბერს, როცა განაცხადა, რომ ტელევიზიაზე გავლენა აქვს მიხეილ სააკაშვილს. ეს მისი მრავლისმეტყველი პოლიტიკური შეფასება იყო. აქ მინდა იურისტ და პოლიტიკოსს ირაკლი კობახიძეს შევახსენო, რომ საქართველო თურქეთი არ არის და სააკაშვილი - ფეტულაჰ გიულენი, ასე, რომ თვითონაც ნუ გახდებიან მაინცდამაინც ერდოდანები. სააკაშვილი საქართველოს მე-3 პრეზიდენტია და დღევანდელი ხელისუფლება მისი და მისი გუნდის პოლიტიკური მემკვიდრე. რაც უკეთ გაითავისებს „თვისობრივად განახლებული“ ოცნება ამას, მით უკეთესი იქნება ეს საქართველოს დემოკრატიისთვისაც და საერთოდ, იმ დემოკრატიული პროცესებისთვის, რომლის მიმდინარეობაში თანამშრომლობა მის და არამარტო მის გერმანულ კოლეგებს სურთ.

ანუ მივედით იმ შედეგამდე, რომ ირაკლი კობახიძემ შესაძლოა, სამოქალაქო სამართალი საკმარის დონეზე არ იცოდეს, რადგან მას რეფორმამ სტუდენტობის შუაში მოუსწრო და მისი შემდგომი სწავლაც და საქმიანობაც სამართალმცოდნეობის სხვა მიმართულებას შეეხებოდა. მაგრამ! მას გააჩნია არა მარტო ენობრივი შესაძლებლობა, არამედ კონტაქტებიც იმისთვის, რომ გაერკვეს. მე პირადად შევახსენებდი, რომ იმ სამართლებრივ სივრცეში, რომლის მაგალითზეც ჩვენ ჩვენი სამოქალაქო მართლწესრიგი გავმართეთ, „ამორალური გარიგების“ მუხლი არანაირად არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, რომელსაც ქიბარ ხალვაში გვიამბობს და ეს არგავრცელება ძალიან კარგად არის განმარტებული ნებისმიერ კომენტარში.

შევთანხმდეთ, რომ კობახიძეს მინიმუმ შეუძლია, იცოდეს. მე პირადად უფრო ტენდენცია მექნებოდა იქითკენ, რომ მან ამ სამართლებრივი ხარვეზის შესახებ იცის. მაგრამ გული ნამდვილად არ ერევა

გადავიდეთ თეა წულუკიანზე.

იუსტიტი თეა წულუკიანი

იუსტიციის მინისტრი დანიშვნის დღიდან დიდ პოლიტიკას თამაშობს, ამ დროს მის უწყებას ვიწრო სპეციალიზაცია აქვს და თავზე საყრელად - საქმე. იუსტიციის სამინისტრო წესით მეცნიერულ დონეზე მომუშავე უწყებაა. ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც ეს ასეა, იუსტიციის მინისტრები ძალიან იშვიათად ან საერთოდ არ ჩნდებიან ფართო პოლიტიკურ სცენაზე. ევროპაში წლები ისე გადის, რომ იუსტიციის მინისტრები თუ არსებობენ, ესეც გვავიწყდება. თეა წულუკიანი კი მუდმივ პოლიტიკურ ორომტრიალშია. მე ყოველთვის მიკვირდა, საიდან რჩება მას ამდენი დრო დიდი სცენისთვის... ეს თემა შორს წაგვიყვანს, როდესმე, ალბათ, განვაგრცობ, ახლა კი ისევ მის ბიოგრაფიას დავუბრუნდები.

იუსტიციის სამინისტროს გვერდზე, რომელიც ერთი შეხედვით შპს „თეა წულუკიანის“ გვერდს უფრო ჰგავს, ვიდრე სამინისტროს საიტს, მინისტრის ბიოგრაფიას ვერ ვპოულობ, სამაგიეროდ, უხვად ვაწყდები მის ფოტოებს, შეხვედრებს და მიკროფონს.

ასე რომ, ისევ გუგლს შევეკითხები. გუგლი მგზავნის ვიკიპედიისკენ. ეს უკანასკნელი კი მეუბნება, რომ თეა წულუკიანს დამთავრებული აქვს სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, შემდეგ - საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლა და მუშაობდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

ნუ შეცდებით და ნუ იფიქრებთ, რომ ან საფრანგეთში, ან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეივსებდა თეა წულუკიანი დანაკლისს, რომელსაც სამოქალაქო და სისხლის სამართალი ჰქვია და რომელთა საფუძვლიანი ცოდნაც განსაზღვრავს იურისტის სტატუსს.

მინდა ისიც ავღნიშნო, რომ ძირითად შემთხვევებში არ არის აუცილებელი, რომ მინისტრი იმ სპეციალობის იყოს, რომლითაც მისი უწყება მთლიანობაში მოიაზრება, მაგრამ იუსტიციის მინისტრები, თითქმის ყველგან და ყოველთვის, კარგი და გამოცდილი იურისტები არიან; თუნდაც იმიტომ, რომ როგორც ავღნიშნე, იუსტიციის სამინისტროს მუშაობას სამეცნიერო ხასიათი აქვს და ეს მუშაობა გამოცდილებების საერთაშორისო დონეზე გაცვლა-გამოცვლაზეა აგებული. ასე, რომ მინისტრის სპეციალური განათლება ყველგან მოთხოვნაა (როგორც ჩანს- გარდა საქართველოსი). მაშინ, როდესაც ევროპაში და შეერთებულ შტატებში კრიმინოლოგია და კრიმინალური ფსიქოლოგია ფართომაშტაბიანი მეცნიერული კვლევის საგანია და ამ კვლევას ისეთ შედეგებამდე მიყვავართ, როგორცაა მოქნილი ნარკოპოლიტიკა, დივერსიის მექანიზმი მცირეწლოვანთა და წვრილმან დანაშაულში (რომელიც მთლიანად სასამართლოზე გადის და პოლიციის დონეზე რეგისტრაციაც არ ხდება), საქართველოში კი კრიმინალური პოლიტიკა ისევ ისე მოუწესრიგებელი, პოლიტიკური გემოვნების საკითხია და ეს ჩვენი სისხლის სამართალიც, დასათაურებიდან დაწყებული ყველანაირად შესაცლელ-დასამუშავებელია – დასანანია, რომ აი, ამ ფონზე გვყავს მინისტრი, რომელიც დიდ პოლიტიკას თამაშობს და ძირეული სამართლებრივი ცოდნა, რაც იურისტს მოეთხოვება - არ აქვს. ეს თემა შორს წაგვიყვანს, მე ისევ „რუსთავი 2“- ს დავუბრუნდები.

ანუ თუა წულუკიანს სავარაუდოდ არც კი შეუძლია სამართლებრივად შეაფასოს რუსთავი-2 ის საქმე; მე პირადად არც გამიკვირდება, რომ ურთმელიძის განაჩენი მისი ნაშრომი იყოს. თუმცა! მას ჰყავს გარემოცვა, რომელსაც შეუძლია დაეკითხოს, მაგრამ აქ იმ დილემას ვაწყდებით, რომ წულუკიანს საუკეთესო სპეციალისტად მოაქვს თავი და აქედან გამომდინარე, შეიძლება არც არავის არაფერს არ ეკითხება.

თუ რუსთავი-2- ის ეს ტრაგედია დიდხანს გაგრძელდა, სხვა იურისტების ბიოგრაფიებსაც გადავხედავ, ახლა კი სხვა თემაზე გადავალ:

პირველ რიგში მინდა, მოკლედ წარმოგიდგინოთ ის სქემა, თუ როგორ წარიმართებოდა სამართლებრივ სახელმწიფოში ასეთი დავა, ის მართლაც კერძო დავა რომ ყოფილიყო.

დავიწყებ იმით, რომ ხალვაშის ისტორიაზე „ამორალური გარიგება“ არანაირად არ გავრცელდებოდა, მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ, რომ ხალვაში ლაბილური და ძალზედ გულუბრყვილოა და ასე როგორღაც მოვარგოთ მისი შემთხვევა „ამორალური გარიგების“ მოთხოვნებს.

(ამორალურ გარიგების ნორმასაც როდესმე ცალკე წერილით დავუბრუნდები, რადგან მისი თარგმანი და შინაარსი ამ მუხლის კიდევ უფრო მეტად გაბერვის და ბოროტად გამოყენების საშუალებას იძლევა. მისი გერმანელი წინაპრის (§138 -გერმანიის სამოქალაქო სამართალი) სამოქმედო არეალი კარგად არის განსაღვრული და როგორც უკვე აღვნიშნე, მისი განვრცობა გარიგების ისეთ შემთხვევებზე, როგორიც „რუსთავი 2“-ის საქმეში გვაქვს, არ ხდება).

დავუბრუნდები იმ კითხვას, თუ როგორ წარიმართებოდა ეს დავა სამართლებრივ სახელმწიფოში.

რა თქმა უნდა, ექნებოდა პოლიტიკური გამოხმაურება, ოღონდ თვითოეული პოლიტიკოსი ხაზს გაუსვამდა იმ იმედს, რომ მათი სამართალწარმოება მოერევა ასეთ კომპლექსურ საკითხს. (საქართველოში, სამწუხაროდ, ვერც ქართული პოლიტიკა და ვერც სასამართლო ამ ეტაპამდე ვერ მიხვდა, რომ ეს დავა

უაღრესად კომპლექსურია. კომპლექსური იმიტომ, რომ რუსთავი-2-ის ფასეულობაზე ძალიან ბევრი სუბიექტის, ჟურნალისტის და ხელოვანის, ინტელექტუალური საკუთრება და მათი კონსტიტუციური უფლებები - მათ შორის პროფესიული თავისუფლება - არის მიბმული). ისინი ასევე ხაზს გაუსვამდნენ მხარეების მოლაპარაკების მნიშვნელობას, ერთ-ერთი მხარე იქნებოდა თანამშრომლებისაც. ჩაერეოდნენ მედიატორებიც, რომ პროცესამდე მომხდარიყო გარეგება თუ მორიგება, მორიგების მცდელობა იქნებოდა სასამართლომდეც და სასამართლოს ფარგლებშიც), ეს გაგრძელდებოდა დიდი ხანი, ეს დრო კი იმით გამართლდებოდა, რომ კომპლექსური დავაა და ბევრი სუბიექტის ინტერესი უნდა იყოს გათვალისწინებული და ყველა შესაძლო გზა - მოსინჯული.. თუ მაინცდამაინც სასამართლო პროცესამდე მივიდოდა საქმე, ამ შემთხვევაში პოლიტიკოსები შეახსენებდნენ სასამართლოს, რომ დავა საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვან საკითხს შეეხება, ამიტომ მოითხოვდნენ მაქსიმალური ძალისხმევას, ექნებოდათ ისევ იმედები და ასე შემდეგ...

ერთი წუთით დავუშვათ, რომ სასამართლომ „ამორალური გარიგების“ გამო ხელშეკრულება ბათილად ცნო და საკუთრება საწყის პოზიციას დაუბრუნა. ეს არ იქნებოდა დასასრული, იმიტომ რომ სამოქალაქო სამართალი საკუთრების დაკარგვის სხვა ფორმებსაც იცნობს და ერთ-ერთი მათგანი კეთილსინდისიერი მყიდველია. ანუ დაისმებოდა კითხვა: ეს საკუთრება ხალვაშმა იმის შედეგად ხომ არ დაკარგა, რომ მისი ახლანდელი მესაკუთრე კეთილსინდისიერი მყიდველია. აქ კი პასუხი ერთმნიშვნელოვანია: კეთილსინდისიერი მყიდველის ინსტიტუტი არ მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა მესაკუთრე საკუთრებას კარგავს (პირდაპირი გაგებით) ან როცა მას პარავენ. ხალვაშს „რუსთავი-2“ არც ჯიბიდან ამოვარდნია და არც ხელიდან გავარდნია, მისთვის ის არც არავის მოუპარავს.

მართალი გითხრათ, ასე დეტალურადაც არ მინდოდა, მაგრამ გამომივიდა.

და მართალი გითხრათ, არც ის მინდოდა, რომ ეს მსუბუქი ირონიით დაწყებული წერილი სერიოზული პუბლიკაციის შინაარსით დამესრულებინა, მაგრამ დაწყებული თემა მოხოვს,

რომ თქვენი ყურადღება ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილო, უფრო მნიშვნელოვანზე, ვიდრე, კობახიძის, წულუკიანის თუ მავანის იურიდიული კომპეტენციაა.

ვფიქრობ, დრო არის, რომ არამარტო პოლიტიკოსები, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოება შეეჩვიოს იმ აზრს, რომ ჩვენი სამოქალაქო სამართალი „სამართალმა პური ჭამა“-ს სამართალი აღარაა და ის თაობებით უკან არ მიდის, რომ უფლებრივი ხარვეზები არკვიოს და ალაგოს. ჩვენი სამოქალაქო სამართალი, პირველ რიგში, ცდილობს, გაუმკლავდეს საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო და უფრო აჩქარებულ ტემპს, რომელიც პარალელურად სამართლებრივი უფლებების და ურთიერთობების უფრო და უფრო სწრაფ მოძრაობას თუ ბრუნვას იწვევს, და გაუმკლავდეს ისე, რომ საზოგადოების ნდობა იმის მიმართ, რომ არსებული უფლებრივი მოცემულობები სამართლებრივად არიან გამყარებულნი და დაცულნი, არ შეირყეს. ამისთვის მექანიზმებს ქმნის, რომ სამართლებრივი ხარვეზი უფლებრივ ცვლილებებს არ გადაჰყვეს. ანუ, მარტივად რომ ვთქვა, მე თუ რაიმე გავყიდე, რომელიც მე არ მეკუთვნოდა, და ამ ნივთმა შემდეგ ბევრი ხელი მოინაცვლა, ჩემთან არსებული ხარვეზი უმრავლეს შემთხვევაში დანარჩენ გადანაცვლებებს აღარ მიჰყვება. ეს ერთი შეხედვით უსამართლობაა (მაგრამ ერთი შეხედვით, რადგან თუ ჩავუდრმავედებით, ამისთვის გამართული ლოგიკა არსებობს).

ანუ, ჩვენი სამოქალაქო სამართლისთვის მთავარი მიზანი ის არის, რომ მაქსიმალურად დაიცვას თვითოეული ჩვენთაგანის ნდობა არსებული უფლებრივი მდგომარეობის სამართლიანობის მიმართ. ამ მიზნდან გამომდინარე იცავს ჩვენი სამოქალაქო სამართალი განსაკუთრებით ჩვენს ნდობას რეესტრის მიმართ, ჩვენს ნდობას, როცა ვფიქრობთ, რომ საგნის უშუალო მფლობელი მისი მესაკუთრეა ან როცა ვინმე ნდობით აღჭურვილი პირი გვეგონა (და ამის საბაბიც გვქონდა) და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ ქმნის კეთილსინდისიერი მყიდველის ინსტიტუტს. პარალელურად ქმნის ძალიან ბევრ მექანიზმს, რომ სხვა სახის რეპარაცია მოახდინოს, ანუ სხვანაირად დააპუროს სამართალი, ვიდრე უფლებების პირდაპირი აღდგენაა. ეს არის ზარალის ანაზღაურება და იმის საკმაოდ დეტალურად მოწესრიგება, თუ ვინ ვისთან არის პასუხისმგებელი, ასევე იმ მფლობელის უფლებების

მოწესრიგება, რომელმაც საკუთრებად მიჩნეულ ქონებაზე უფლებები დაკარგა.

აქედან გამომდინარე, მოქმედი სამოქალაქო სამართლის იმ იარაღად გამოყენება, როგორსაც დღეს ცდილობენ, შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მოქმედი სამოქალაქო სამართლის მთავარ იდეას და მიზანს დაარღვევენ და დაამახინჯებენ.

იმედი მაქვს, რომ უზენაეს სასამართლოს ესმის იმ შედეგების მნიშვნელობა, რომელიც კეთილსინდისიერი მყიდველის მექანიზმის გამოცარიელებას მოჰყვება. ეს იქნება დარტყმა თავისუფალი ბაზრის სამართლებრივ რეგულირებაზე და საინვესტიციო გარემოზე. ამ შემთხვევაში, მე პირადად, ერთ პოზიტიურ ეფექტს მივესალმებოდი: სიამოვნებით გადავსინჯავდი ოცნების ყველა ფუნქციონერის გარიგებას მორალურობის კუთხით. მათ შორის, ივანიშვილის ყველა ნასყიდობას, განსაკუთრებით სოლოლაკის სასახლის აშენების და განაშენიანების ირგვლივ გარიგებების მორალურობას. ერთი სიამოვნებაა ამის გაფიქრებაც კი. მაგრამ როდესაც ვეკითხები ჩემს თავს, ღირს თუ არა ეს ყველაფერი იმ სამართლის რღვევად, რომელის ამოქმედებასაც, როგორც იქნა მოვესწარით ამ ქვეყანაში, ვპასუხობ, რომ – არა, არ ღირს.

ამ წერილის წერისას და საერთოდ, „რუსთავი 2“-ის საქმეზე ფიქრისას ერთი იდეა გამიჩნდა (რომელიც თუ განხორციელდა, ალბათ ამ საქმესვე მიეძღვნება):

გერმანულ სამართალწარმოებაში, როცა კანონის სწორედ გაგებასთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებით არის დავა, ისმება ერთ-ერთი გადამწყვეტი კითხვა: თუ რა უნდოდა კანონმდებელს ამა თუ იმ ნორმით ეთქვა, რა იყო მისი სურვილი. ამის გასაგებად ხდება პარლამენტის შემოქმედებითი პროცესის გადახედვა (რომელიც პროტოკოლირებულია) და გარკვევა, თუ რა დებატების ფონზე ხდებოდა ამა თუ იმ ნორმის ფორმირება. ჩვენ, სამწუხაროდ, ასეთ კითხვას ვერ დავსვამთ, რადგან ჩვენმა კანონმდებელმა სამოქალაქო სამართალი დიდწილად თარგმნა და მის დედანს ენდო. რა თქმა უნდა, იმ კითხვის დასმაც არ შეგვიძლია, თუ რა უნდოდა გერმანულ კანონმდებელს ეთქვა... რაც შეეხება ჩემს იდეას, ვფიქრობ რომ ბევრ იურისტს კანონის სწორ

ინტერპრეტაციაში დაეხმარება, რომ იცოდეს, როგორ მოიაზრებს გერმანული სამართალი იმ პარაგრაფებს, რომელსაც ჩვენ საქართველოს სამოქალაქო სამართლის მუხლებად ვიცნობთ და თვით ეს გერმანული მუხლები და კონსტრუქტები საიდან იღებენ თავიანთ დასაბამს. ამ იდეის განხორციელებას შევეცდები, იმ მიზნით და იმ იმედით, რომ საქართველოს სამართალწარმოებაში ასეთ დონეზე აღარ მივა ის საშიშროება, რომელიც არსებული სამოქალაქო სამართლის ძირეულ შინაარსს და მიზნებს უქმნის საფრთხეს.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენი სამოქალაქო სამართლის გერმანულ წინაპარს უზარმაზარი ბიბლიოთეკა - ასიათასობით გამოცემით-უდგას უკან, ასევე - საუკუნეზე მეტი ხნის სამართალწარმოების პრაქტიკა და ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი, კარგად დამუშავებული სამართლის ფილოსოფია. ჩვენ ეს ყველაფერი არ გვაქვს, გვაქვს მხოლოდ ნორმათა კრებული, რომელიც, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ (ვისთვის როგორ) ფართოდ მოაზრებულ გენერალურ ნორმებსაც შეიცავს, როგორც თუნდაც ეს „ამორალური გარიგებაა“ და რომლის გარმონივით გაწელება შეუძლია დღეს ივანიშვილს და ხვალ სხვას. ჩვენი კონსტიტუცია, ბევრი სხვა ქვეყნის კონსტიტუციების მსგავსად, კი ასხივებს მკაფიო, უპირობო აკრძალვას იმის შესახებ, რომ ნორმების კერძო ინტერესებისთვის გამოყენება მოხდეს, მაგრამ ეს უმნიშვნელოვანესი, კუნსტიტუციური აკრძალვაც გამოცარიელებას იწყებს, რადგან ამ ნიშნით გადასინჯვასაც სასამართლოები ახდენენ - საკონსტიტუციო სასამართლოს ჩათვლით. თუ სასამართლო არ იქნა დამოუკიდებელი და თუ საკონსტიტუციო სასამართლო კობახიძისნაირი მოსამართლეებისგან თავისუფალი, ჩვენს სამოქალაქო სამართალი იძლევა ბევრ შესაძლებლობას რომ მისი კერძო ინტერესებისთვის გამოყენება მოხდეს - ეს თუნდაც იმიტომ, რომ მას სხვა გენერალური ნორმებიც აქვს და ნებისმიერ ხელისუფლებას შეუძლია, რომ მათი გამოყენებით სამოქალაქო სამართალი თავის ინტერესებს მოარგოს, საბანივით გამოიყენოს და სადაც შესცივდება იქ მოითბოს.

მოკლედ, ჩემი მრავალმიმართულებიანი ფიქრის დასასრულს მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ხელისუფლების იურისტებისაგან განსხვავებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ესმით, რა

მნიშვნელობა აქვს მათ გადაწყვეტილებას. აქ მარტო სიტყვის თავისუფლებაზე არ არის საუბარი, აქ საუბარია მოქმედი სამოქალაქო სამართლის არსის და მიზნების სერიოზულ დამახინჯებაზე.

სოლიდარობას ვუცხადებ „რუსთავი 2“-ს, საქართველოს სამოქალაქო სამართალს და დამოუკიდებელ სასამართლოს.